# საქართველოს მთავრობის
# დადგენილება

N 444 2020 წლის 17 ივლისი ქ. თბილისი

„2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2019, 470000000.10.003.021688) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. №17.1 დანართის („პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“):

ა) მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სოფლის ერთი ექიმის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება თვეში 750 ლარის ოდენობით;

ბ) ერთი ექთნის/ფერშლის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება თვეში 555 ლარის ოდენობით.“;

ბ) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **106,700.0** ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

| № | კომპონენტის დასახელება | ბიუჯეტი (ათასი ლარი) |
|---|---|---|
| 1 | სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება | 86,247.0 |
| 2 | სოფლის ექიმი | 20,453.0 |
| 2.1 | პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად | 20,125.1 |
| 2.2 | შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება | 327.9 |
| | სულ: | **106,700.0.“.** |

2. დანართი №17.1.5 („შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება“) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №17.1.5

შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება

| დაწესებულება | თვის ბიუჯეტი (ლარი) | |
|---|---|---|
| შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“ | იანვარი | 28,569 |
| | თებერვალი | 28,569 |
| | მარტი | 28,569 |
| | აპრილი | 27,074 |
| | მაისი | 25,054 |
| | ივნისი | 25,054 |
| | ივლისი | 26,554 |
| | აგვისტო | 26,554 |
| | სექტემბერი | 26,554 |
| | ოქტომბერი | 26,554 |
| | ნოემბერი | 28,574 |
| | დეკემბერი | 30,169.“. |

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი გახარია